ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7951570

ნომერი: AR11140462

თარიღი : 29.04.2026

გაცემის თარიღი : 05.06.2026

გაცნობის თარიღი : 08.06.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

თბილისი, ლუბლიანას N66-ის მიმდებარედ; თბილისი, ლუბლიანას N66-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე გელანტია პ/ნ 62003008380
- სოხუმი ს. აჩადარა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ლუბლიანას N66-ის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი N 01.13.01.015.136 და N 01.13.01.015.137 ღობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის საკადასტრო კოდი N 01.13.01.015.136, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882025728240; 02/07/2025 მიწის საკადასტრო კოდი N 01.13.01.015.137, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882025657407; 18/06/2025 წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი; მინდობილობა) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ლუბლიანას N66-ის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი N 01.13.01.015.136 და N 01.13.01.015.137 ღობის მოწყობის შესაძლებლობას.
ღობე უნდა მოეწყოს N 01.13.01.015.136 და N 01.13.01.015.137 მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრებში.
აქვე გაითვალისწინეთ: ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის (ს.კ 01.01.834, ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი") თანხმობა, დამოწმებული გენგეგმით იქონიეთ ადგილზე.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.